ტურიზმის სექტორის მიმოხილვა

მაისი 2026

კვარტალური განახლება

თათია ხიდაშელი
ასოცირებული მკვლევარი

ირინა კვახაძე
უფროსი ვიცე პრეზიდენტი

TBC CAPITAL

2026 წლის I კვარტალი

საერთაშორისო ვიზიტები

1 170 362

I კვ. 2026

-0.2%

წლიური ცვლილება, %

ტურისტული ვიზიტები

997 529

Iკვ. 2026

4.0%

წლიური ცვლილება, %

ერთდღიანი ვიზიტები

172 833

I კვ. 2026

-19.0%

წლიური ცვლილება, %

შემოსავალი

830

Iკვ. 2026

+0.5%

წლიური ცვლილება, %

51%

საშუალო დატვირთულობა

129 USD



ოთახის საშუალო ღირებულება

საერთაშორისო ვიზიტები

2026 წლის პირველ კვარტალში საერთაშორისო ვიზიტები უმნიშვნელოდ, 0.2%-ით შემცირდა და 1.2 მილიონ ვიზიტს მიაღწია. ტურისტული ვიზიტები 4%-ით გაიზარდა, მაშინ როცა ერთდღიანი ვიზიტები შემცირდა 19%-ით.

ერთდღიანი ვიზიტების კლება დაკავშირებულია მეზობელი ქვეყნებიდან ნაკადების შესუსტებასთან. მოკლევადიანი ვიზიტები ძირითადად სწორედ ამ ქვეყნებთანაა დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტები თურქეთიდან და რუსეთიდან გაიზარდა, ნაკადები სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან შემცირდა 11.2%-ით და 8.1%-ით, შესაბამისად, რამაც განაპირობა ერთდღიან ვიზიტებში ცვლილება.

2026 წლის პირველ კვარტალში, თურქეთი გახდა საერთაშორისო ვიზიტების ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო, ვიზიტების 20.4% შეადგინა და გაუსწრო რუსეთს. რუსეთი 19.7%-ით მეორე ადგილზე გადავიდა, ხოლო სომხეთი 13.7%-ით მესამე ადგილს იკავებს.

წლიური ზრდის დინამიკა ძირითადი ბაზრებისთვის განსხვავდებოდა. თურქეთიდან და რუსეთიდან ვიზიტები შესაბამისად 6%-ით და 5%-ით გაიზარდა. მაშინ როცა ისრაელიდან ვიზიტები 17.5%-ით დაეცა, რაც ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტის ეფექტს ასახავს. მიუხედავად ამისა, ისრაელი მეოთხე უმსხვილეს ბაზრად რჩება.

გრაფიკი 1 **საერთაშორისო ვიზიტები ტიპების მიხედვით, მილიონი ვიზიტი**



გრაფიკი 2 **საერთაშორისო ვიზიტები ქვეყნების მიხედვით ('000)**



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

საერთაშორისო ვიზიტები

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული ევროპული ქვეყნები საქართველოს მეზობლებს ჩამოუვარდებიან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობით, 2026 წლის პირველ კვარტალში ევროკავშირმა და გაერთიანებულმა სამეფომ ერთობლივად საერთო ვიზიტების 8.2% შეადგინა და გადაუსწრო ისეთ მნიშვნელოვან ბაზრებს, როგორიცაა ისრაელი და აზერბაიჯანი.

აღნიშნული ბაზრიდან ყველაზე მნიშვნელოვანი კონტრიბუტორები იყვნენ გერმანია (15%), პოლონეთი (14%) და გაერთიანებული სამეფო (10%). ამასთანავე, ყველა ძირითადი ევროპული ბაზრიდან ვიზიტებმა ზრდა განაგრძო 2026 წლის პირველ კვარტალშიც, რაც აღნიშნულ ბაზრებზე საქართველოს მზარდ პოპულარობაზე მიანიშნებს.

მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები დაფიქსირდა უკრაინიდან (+24%) და ჩინეთიდან (+47%). თუმცა, მნიშვნელოვნად შემცირდა ვიზიტები ინდოეთიდან (-30%), რაც კავშირშია ინდოეთიდან საქართველოს მიმართულებით, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტის გამო, შეჩერებულ პირდაპირ რეისებთან.

	1კვ. 2025	1კვ. 2026
ევროკავშირი და გაერთიანებული სამეფო	73,886	96,226
წილი მთლიანში	6.3%	8.2%
წლიური ზრდა		30.2%

გრაფიკი 3

საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა ევროკავშირიდან და გაერთიანებული სამეფოდან ('000)



გრაფიკი 4

საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა შერჩეული ქვეყნებიდან ('000)



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები

საერთაშორისო ვიზიტებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2026 წლის პირველ კვარტალში 830 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 0.5%-იანი ზრდაა წლიურ ჭრილში.

ტურისტული შემოსავლის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო ევროკავშირი და გაერთიანებული სამეფო გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ბაზარი ტურისტული ნაკადებით მე-4 ადგილს იკავებს. რაც ნიშნავს რომ ვიზიტორები ევროკავშირიდან და გაერთიანებული სამეფოდან საშუალოდ მეტს ხარჯავენ სხვა ძირითად ბაზრებთან შედარებით.

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან მნიშვნელოვნად შემცირდა ვიზიტორთა ნაკადები, ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებზე ძირითადი ზეწოლა რუსეთმა და ისრაელმა გამოიწვია (-12% და -13% კლება შესაბამისად).

შემოსავლების ზრდა დაფიქსირდა ევროკავშირის და გაერთიანებული სამეფოს, თურქეთისა და უკრაინის ბაზრებიდან, რამაც დააბალანსა ზემოთხსენებული ნეგატიური დინამიკა და მთლიანი საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების მცირედი ზრდა უზრუნველყო.

ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებული ბაზრები ტურისტული შემოსავლის თვალსაზრისით კვლავ მნიშვნელოვნად რჩება. ვიზიტორთა ნაკადების შესუსტების მიუხედავად, ტურისტულ შემოსავლებში წილით ისრაელი მოწინავე პოზიციას ინარჩუნებს და მესამე ადგილს იკავებს. რაც შეეხება საუდის არაბეთს, მან ყველაზე დიდი წლიური ზრდა დააფიქსირა (+48%).

გრაფიკი 5 **შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან, მლნ. აშშ დოლარი**



გრაფიკი 6 **შემოსავლების განაწილება ქვეყნების მიხედვით, მლნ. აშშ დოლარი**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სასტუმროები საქართველოში

2026 წლის პირველ კვარტალში, წლიურად, დიდ ბრენდულ სასტუმროებში დატვირთულობა გაიზარდა 6 პროცენტული პუნქტით და 51% შეადგინა. ზრდა ყველაზე შესამჩნევი იყო იანვარში, თებერვალისა და მარტისგან განსხვავებით.

სასტუმროების დატვირთულობის პოზიტიური დინამიკა თანხვედრაშია ტურისტული ვიზიტების ზრდასთან. თუმცა თებერვლის და მარტის მონაცემები ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებით გამოწვეულ შოკს ასახავს.

დიდ ბრენდულ სასტუმროებში ნომრების საშუალო ღირებულებაც გაიზარდა. 2026 წლის I კვარტალში ტარიფმა 129 აშშ დოლარს მიაღწია, რაც წლიურად 10%-იან ზრდას ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში სტაბილურად მზარდი ტარიფები დაფიქსირდა.

გრაფიკი 7 **საშუალო დატვირთულობა მაღალბიუჯეტურ სასტუმროებში**



გრაფიკი 8 **სასტუმროს ნომრის საშუალო ღირებულება მაღალბიუჯეტურ სასტუმროებში, აშშ დოლარი (დღგ ს გარეშე)**



წყარო: თიბისი კაპიტალი

სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. თიბისი კაპიტალი მოქმედებს და ეწევა თავის პროფესიონალურ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე და აქვს სათანადო უფლებამოსილება მოამზადოს და გაავრცელოს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე. დოკუმენტში არაფერი წარმოადგენს ან შეადგენს შეთავაზებას ან მის ნაწილს ან მოწვევას შეთავაზებაზე ნებისმიერი აქტივის ან ფასიანი ქაღალდის ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის ან გამოწერისთვის და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულებისთვის ან ვალდებულებებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის. რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ებ)ი, პარტნიორ(ებ)ი, თანამშრომელ(ებ)ი, დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ებ)ი ან აგენტ(ებ)ი („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან ან ფლობასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და არ არის გამიზნული საკრედიტო ან რაიმე სხვა შეფასების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიმღებებს მკაცრად მოეთხოვებათ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ ნებისმიერი სახის ვალდებულება განაახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია. დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომხდარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განაახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს აშკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერ სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც მოიცავს განაცხადს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობილი განაცხადის გარდა, მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტიური შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისაგან, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დაშვებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება მოვლენებს და დამოკიდებულია გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუოა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულდება. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განაახლოს. მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. მესამე მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებით გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას მესამე პირის ქმედებებთან დაკავშირებით. თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველანაირ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს დოკუმენტს ან რაიმე ქმედების ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე.

7 Marjanishvili Str., Tbilisi 0102, Georgia
Tel: +995 32 2 272727 | +995 32 2 272733
Email: Research@tbccapital.ge
Email: Macro@tbcbank.com.ge
www.tbccapital.ge
www.investing.tbccapital.ge

TBC CAPITAL